

საქართველოს კანონი

დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ

მუხლი 1. კანონის მიზანი

ამ კანონის მიზანია დისკრიმინაციის ნებისმიერი ფორმის აღმოფხვრა და ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორად სარგებლობის უზრუნველყოფა რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, ასაკის, მოქალაქეობის, წარმოშობის, დაბადების, საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, რელიგიის ან რწმენის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, პროფესიის, ოჯახური მდგომარეობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, შეზღუდული შესაძლებლობის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამოხატვის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების, ან სხვა ნიშნის მიუხედავად.

მუხლი 2. დისკრიმინაციის ცნება და დისკრიმინაციის აკრძალვა

1. საქართველოში აკრძალულია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია.
2. პირდაპირი დისკრიმინაცია არის ისეთი მოპყრობა ან პირობების შექმნა, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებებით სარგებლობისას, ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული რომელიმე ნიშნის გამო, პირს არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ამგვარი მოპყრობა ემსახურება ლეგიტიმურ მიზანს და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, ხოლო გამოყენებული საშუალებები თანაზომიერია ასეთი მიზნის მისაღწევად.
3. ირიბი დისკრიმინაცია არის ისეთი მდგომარეობა, როდესაც სახეზეა პირობითად ნეიტრალური შინაარსის დებულება, კრიტერიუმი ან პრაქტიკა, რომელიც არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული რომელიმე ნიშნის მქონე პირს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით, ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ამგვარი მდგომარეობა ემსახურება ლეგიტიმურ მიზანს და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, ხოლო გამოყენებული საშუალებები თანაზომიერია ასეთი მიზნის მისაღწევად.

4. მრავალი ნიშნის მიხედვით დისკრიმინაცია არის დისკრიმინაცია ერთობლივად ორი ან მეტი ნიშნის გამო.

5. ამ კანონის მიზნებისთვის დისკრიმინაციად ჩაითვლება, აგრეთვე, ნებისმიერი სახის შევიწროვება, რომელიც ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული ნიშნის გამო მიზნად ისახავს ან იწვევს პირის ან პირთა ჯგუფისათვის მტრული, დამაშინებელი, დამამცირებელი, ღირსების შემლახველი ან სხვა სახის შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას.

6. აკრძალულია ნებისმიერი ქმედება, რომელიც მიზნად ისახავს პირის იძულებას, წაქეზებას ან ხელშეწყობას მესამე პირის მიმართ, ამ მუხლის გაგებით, დისკრიმინაციის განსახორციელებლად.

7. ამ მუხლით გათვალისწინებულ პირობებში, დისკრიმინაცია სახეზეა მიუხედავად იმისა, პირს რეალურად ახასიათებს თუ არა პირველი მუხლით გათვალისწინებული ნიშანი, რომლის გამოც განხორციელდა მის მიმართ დისკრიმინაციული ქმედება.

8. დისკრიმინაციას არ წარმოადგენს სპეციალური და დროებითი ღონისძიებები, რომლებიც შემუშავებულია ფაქტობრივი თანასწორობის წასახალისებლად ან მისაღწევად, განსაკუთრებით კი გენდერულ, ორსულობისა და დედობის საკითხებში.

9. დისკრიმინაციად არ ჩაითვლება ნებისმიერი განსხვავება, დაუშვებლობა, უპირატესობა განსაზღვრული სამუშაოს, საქმიანობის ან სფეროს მიმართ, რომელიც სპეციფიკურ მოთხოვნებს ემყარება.

10. განსხვავებული მოპყრობა, პირობების ან/და მდგომარეობის შექმნა დასაშვებია, თუ სახეზეა სახელმწიფოს დაუძლეველი ინტერესი და სახელმწიფოს მხრიდან ჩარევა აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში.

მუხლი 3. კანონის მოქმედების სფერო

1. ამ კანონით გათვალისწინებული მოთხოვნები ვრცელდება საჯარო დაწესებულებების, ფიზიკური და იურიდიული პირების ქმედებებზე ყველა სფეროში, მათ შორის, როგორებიცაა:

ა) დასაქმებაზე ხელმისაწვდომობა და შრომითი ურთიერთობა;

ბ) პროფესიული გადამზადება და ტრენინგი;

გ) სოციალური დაცვა და ჯანდაცვა;

- დ) სკოლამდელი აღზრდა, განათლება, განათლებაზე ხელმისაწვდომობა და სწავლის პროცესი;
- ე) მეცნიერება;
- ვ) კულტურული და შემოქმედებითი საქმიანობა;
- ზ) არჩევნები;
- თ) საზოგადოებრივი და პოლიტიკური საქმიანობა;
- ი) საჯარო ინფორმაცია და მედია;
- კ) მართლმსაჯულება;
- ლ) სამართალდაცვა და სასჯელაღსრულება;
- მ) თავდაცვა;
- ნ) საქონლისა და მომსახურების, მათ შორის, სახელმწიფო სერვისების მიწოდება და მათით სარგებლობა;
- ო) საზოგადოებრივი ადგილებით სარგებლობა;
- პ) საცხოვრისით სარგებლობა;
- ჟ) მეწარმეობა და საბანკო საქმე;
- რ) ბუნებრივი რესურსებით სარგებლობა;
- ს) ტრანსპორტი და ინფრასტრუქტურა;
- ტ) ტურიზმი;
- უ) სპორტი.

2. ამ კანონის მოქმედება ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ სფეროებზე ვრცელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული სფეროები არ რეგულირდება სხვა სამართლებრივი აქტებით.

მუხლი 4. დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად განსახორციელებელი ღონისძიებები
 დისკრიმინაციის აღმოფხვრის მიზნით, ნებისმიერი დაწესებულება ვალდებულია:

- ა) თავისი საქმიანობა, აგრეთვე სამართლებრივი აქტები და შიდა რეგულაციები, თუ ამგვარი არსებობს, შესაბამისობაში მოიყვანოს ამ კანონისა და სხვა ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის მოთხოვნებთან;

ბ) სავარაუდო დისკრიმინაციის ნებისმიერ ფაქტზე მოახდინოს სწრაფი და ეფექტიანი რეაგირება;

გ) დისკრიმინაციის ფაქტის დადასტურების შემთხვევაში, მოქმედი კანონმდებლობისა და შიდა რეგულაციების შესაბამისად პასუხისმგებლობა დააკისროს მის დაქვემდებარებაში მყოფ დარღვევის განმახორციელებელ პირებს და უზრუნველყოს მისი შედეგების აღმოფხვრა, მესამე პირის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების შეულახავად.

მუხლი 5. ამ კანონის დებულებათა არასწორად გამოყენების აკრძალვა

1. ამ კანონის არც ერთი დებულება არ შეიძლება განიმარტოს ისე, რომ იგი გულისხმობდეს რელიგიური გაერთიანებისათვის, რელიგიის თავისუფლებიდან გამომდინარე, უფლებების შეზღუდვას, იმ პირობით, რომ ამ უფლებებით სარგებლობა არ არღვევს საჯარო წესრიგს, საზოგადოებრივ უსაფრთხოებას ან სხვათა უფლებებს.

2. ამ კანონის არცერთი დებულება არ შეიძლება განიმარტოს ისე, რომ იგი ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს კონსტიტუციასა და „საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის“ კონსტიტუციურ შეთანხმებას.

3. დისკრიმინაციის აღმოფხვრისკენ მიმართულმა ღონისძიებებმა ან ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული ნიშნების მქონე პირის ან პირთა ჯგუფის მიერ საკუთარი უფლებების განხორციელებამ/დაცვამ არ უნდა ხელყოს საჯარო წესრიგი, საზოგადოებრივი უსაფრთხოება ან/და სხვა პირთა უფლებები.

4. დაუშვებელია ამ კანონით გათვალისწინებული უფლებებით სარგებლობა ისე, რომ იგი მიზნად ისახავდეს ან იწვევდეს ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული ნიშნების მქონე პირთა ან პირთა ჯგუფებს შორის შუღლის გაღვივებას.

5. ამ კანონის არც ერთი დებულება არ შეიძლება განიმარტოს ისე, რომ არარად აქციოს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციით გათვალისწინებული რომელიმე სხვა უფლება ან თავისუფლება, ანდა შეზღუდოს იგი იმაზე მეტად, ვიდრე ეს საკუთრივ ამ კონვენციით არის გათვალისწინებული.

მუხლი 6. დისკრიმინაციის აღმოფხვრასა და თანასწორობის უზრუნველყოფაზე ზედამხედველობის განხორციელება

1. დისკრიმინაციის აღმოფხვრისა და თანასწორობის უზრუნველყოფის საკითხებზე ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს სახალხო დამცველი.

2. მოქმედი კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებების განხორციელების მიზნით სახალხო დამცველი:

ა) განიხილავს ფიზიკური და იურიდიული პირის ან პირთა ჯგუფის განცხადებებს და საჩივრებს, ვინც თავს დისკრიმინაციის მსხვერპლად მიიჩნევს;

ბ) შეისწავლის დისკრიმინაციის ფაქტებს, როგორც განცხადების ან საჩივრის არსებობისას, ისე საკუთარი ინიციატივით;

გ) ამზადებს და შესაბამის დაწესებულებას ან პირს უგზავნის ზოგადი ხასიათის შეთავაზებებს დისკრიმინაციის პრევენციისა და მასთან ბრძოლის საკითხებთან დაკავშირებით;

დ) ამ კანონის მიზნებისათვის ამზადებს მოსაზრებებს აუცილებელ საკანონმდებლო ცვლილებებთან დაკავშირებით და საქართველოს პარლამენტში წარდგენის მიზნით;

ე) მოიწვევს დისკრიმინაციის მსხვერპლს და შესაძლო დისკრიმინაციული ქმედების განმახორციელებელ პირს და ცდილობს საქმე დაასრულოს მხარეთა მორიგებით;

ვ) დისკრიმინაციის მსხვერპლის უფლებების აღდგენის მიზნით, რეკომენდაციით მიმართავს შესაბამის დაწესებულებას, პირს, თუ მხარეთა მორიგება შეუძლებელი აღმოჩნდება და სახეზეა საკმარისი მასალები, რომლებიც ადასტურებენ დისკრიმინაციას;

ზ) უფლებამოსილია მიმართოს სასამართლოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის შესაბამისად, თუ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ რეკომენდაციაზე პასუხი არ იქნა გაცემული ან რეკომენდაცია არ იქნა გაზიარებული და სახეზეა საკმარისი მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ დისკრიმინაციას;

თ) აგროვებს და აანალიზებს დისკრიმინაციის შემთხვევების სტატისტიკურ მონაცემებს;

ი) ახორციელებს ღონისძიებებს საზოგადოებაში დისკრიმინაციის თაობაზე ცნობიერების ასამაღლებლად;

კ) დისკრიმინაციის საკითხებზე თანამშრომლობს სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან, აგრეთვე საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებთან და ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან.

მუხლი 7. სპეციალური ანგარიში

1. სახალხო დამცველი შეიმუშავებს და აქვეყნებს სპეციალურ ანგარიშს ქვეყანაში დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, პრევენციისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ. ანგარიში საჯაროა.

2. სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში უნდა შეიცავდეს ქვეყანაში დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი პრევენციისა და თანასწორობის მდგომარეობის ზოგად შეფასებებს, დასკვნებსა და რეკომენდაციებს, აგრეთვე, ინფორმაციას გამოვლენილი მნიშვნელოვანი დარღვევებისა და განხორციელებული ღონისძიებების შესახებ.

მუხლი 8. სახალხო დამცველის მიერ საქმის განხილვა

1. პირმა, რომელმაც სახალხო დამცველს მიმართა საჩივრით, უნდა მიუთითოს იმ ფაქტებზე, რომლებიც იძლევიან დისკრიმინაციული ქმედების არსებობის ვარაუდის საფუძველს და წარადგინოს შესაბამისი მასალები.

2. თუ სახალხო დამცველი საჭიროდ ჩათვლის, მას უფლება აქვს, დანიშნოს ზეპირი მოსმენა და მოიწვიოს ორივე მხარე საქმის მორიგებით დამთავრების მიზნით. მორიგებით საქმის დასრულების შემთხვევაში, სახალხო დამცველი ახდენს მორიგების აქტით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების მონიტორინგს.

3. ნებისმიერი ადმინისტრაციული, ადგილობრივი თვითმმართველობისა და სახელმწიფო ხელისუფლების ორგანო, პროკურატურის, საგამოძიებო და სასამართლო ორგანოების ჩათვლით, ვალდებულია, საქმის განხილვასთან დაკავშირებული მასალა, საბუთი, სხვა ინფორმაცია და ახსნა-განმარტება, კანონით დადგენილი წესების დაცვით, გადასცეს სახალხო დამცველს მოთხოვნიდან 10 კალენდარული დღის ვადაში. თუკი ინფორმაციის მიღება ხდება ნებაყოფლობით კერძო პირისგან, მისივე მოთხოვნით, მას შეიძლება აუნაზღაურდეს ინფორმაციის მოწოდებასთან დაკავშირებული ასლის გადაღების და საფოსტო მომსახურების ხარჯები.

მუხლი 9. სახალხო დამცველის მიერ გადაწყვეტილების მიღება

1. სახალხო დამცველი წყვეტს საქმის წარმოებას თუ:

ა) აღნიშნული დავა განიხილება სასამართლოს მიერ;

ბ) მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება;

გ) მიმდინარეობს სისხლის სამართლებრივი დევნა დისკრიმინაციის საფუძველზე;

დ) საქმეზე არსებობს სასამართლო ან უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც არ დადასტურდა დისკრიმინაციის ფაქტი.

ე) განცხადების/საჩივრის განხილვის შედეგად არ დადასტურდა დისკრიმინაციის ფაქტი.

2. იმ შემთხვევაში, თუ სახალხო დამცველის მიერ განცხადების/საჩივრის განხილვის შედეგად დადასტურდა დისკრიმინაციის ფაქტი და მისი შედეგები არ არის აღმოფხვრილი, სახალხო დამცველი საქმის გარემოებების გათვალისწინებით, ასრულებს საქმის წარმოებას დარღვეული თანასწორობის აღსადგენად გასატარებელი ღონისძიებების შესახებ რეკომენდაციით.

მუხლი 10. სასამართლოსთვის მიმართვა

1. ნებისმიერი პირი, რომელიც თავს დისკრიმინაციის მსხვერპლად მიიჩნევს, უფლებამოსილია სარჩელი შეიტანოს სასამართლოში იმ პირის/დაწესებულების წინააღმდეგ, რომელმაც მისი აზრით განახორციელა დისკრიმინაცია.

2. სასამართლოსთვის მიმართვის წესი რეგულირდება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით.

მუხლი 11. საქმის განხილვის პროცესში მესამე პირის მონაწილეობა

1. ორგანიზაციას, დაწესებულებას ან გაერთიანებას, რომელთა საქმიანობის სფეროც მოიცავს პირთა დისკრიმინაციისაგან დაცვას, უფლება აქვს მიმართოს სახალხო დამცველს, რათა მესამე პირად ჩართულ იქნეს ამ კანონით გათვალისწინებულ პროცედურებში.

2. სახალხო დამცველს უფლება აქვს, დააკმაყოფილოს მესამე პირის მოთხოვნა საქმის განხილვაში ჩართვის შესახებ მხოლოდ იმ პირის თანხმობის საფუძველზე, რომელიც თავს დისკრიმინაციის მსხვერპლად მიიჩნევს.

მუხლი 12. ამ კანონით განსაზღვრული პროცედურებით სარგებლობისას პირთა დაცვა

1. აკრძალულია ნებისმიერი პირის მიმართ რაიმე სახის უარყოფითი მოპყრობა ან ზემოქმედება იმ საფუძველით, რომ მან დისკრიმინაციისგან დაცვის მიზნით განცხადებით ან საჩივრით მიმართა შესაბამის ორგანოებს ან ითანამშრომლა მათთან.

2. ამ კანონით გათვალისწინებული პროცედურების განხორციელებისას და მის შემდეგაც შესაბამისმა ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ დისკრიმინაციის

მსხვერპლთან დაკავშირებული პირადი ინფორმაციის კონფიდენციალობა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. დისკრიმინაციის მსხვერპლის თანხმობის გარეშე დაუშვებელია ამგვარი ინფორმაციის მესამე პირისთვის მიწოდება, გარდა კანონით პირდაპირ განსაზღვრული შემთხვევებისა.

3. ამ მუხლის მოთხოვნათა დარღვევის შემთხვევაში, დისკრიმინაციის მსხვერპლი უფლებამოსილია, განცხადებით მიმართოს სახალხო დამცველს.

მუხლი 13. კანონის ამოქმედება

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

გიორგი მარგველაშვილი